მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2018 წლის 5 მარტი

ქ. მარტვილი

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურიდახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №58 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 03/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.109.016263) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ა) **პირველი მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ჟ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჟ) შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება.";

ბ) **დადგენილებით დამტკიცებული დანართს დაემატოს 7^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 7^1. შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება

1. შშმ (მკვეთრად გამოხატული, საწოლს მიჯაჭვული, სოციალურად დაუცველი ს/ქ 0-დან 65 000-ის ჩათვლით) პირთა დაფინანსება განისაზღვრა ერთჯერადად 500 ლარით წელიწადში მარტვილის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებზე, გარდა მე-7 მუხლით მოსარგებლე ბენეფიციარებისა.

2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

დ) შესაბამისი სტატუსის (მკვეთრად გამოხატული) დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) სოციალურთა დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი;

ვ) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ.

3. ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარტვილის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გაბისონია**